ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N8.

თარიღი: 20.06.2022 წ.

დადგენილება N20.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N43.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. დებულება განსაზღვრავს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ბაკალავრიატის ფუნქციონირებისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისად;

1.2. ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებასა და პრაქტიკული უნარ - ჩვევების გამომუშავებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

1.3. ბაკალავრი - მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის - ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

მუხლი 2. საბაკალავრო საფეხურზე მიღება/საბაკალავრო პროგრამა

2.1. საბაკალავრო საფეხურზე მიღება

2.1.1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული მიღების წინაპირობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

2.1.2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტის მობილობის მიზნით, ბაკალავრიატში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

2.1.3. ამ მუხლის 2.1.1. პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ შესაბამისად;

2.1.4. ამ მუხლის 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

2.1.5. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროა განათლების აღიარების დოკუმენტი. სრული ზოგადი, ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე საქართველოს/უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება უგამოცდოდ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამა

2.2.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა;

2.2.2. საბაკალავრო პროგრამაში მითითებულია ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობის/მოცულობის, მიზნის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის, სწავლის შედეგების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, სწავლების მეთოდების, შეფასების წესის, დასაქმების სფეროების, სწავლისთვის აუცილებელი რესურსების შესახებ და სხვა;

2.2.3. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტების კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, წინაპირობები, სემესტრი, სტატუსი.

2.2.4. პროგრამა მოიცავს:

ა. სასწავლო კურსების სილაბუსებს;

ბ. ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

2.2.5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო:

ა. ცოდნა და გაცნობიერება;

ბ. უნარი;

გ. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

2.2.6. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ;

2.2.7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი;

2.2.8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

2.3. ინდივიდუალური პროგრამა

2.3.1. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს ინდივიდუალური პროგრამით. ინდივიდუალური პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. გადაწყვეტილება ინდივიდუალური პროგრამის დამტკიცების შესახებ მიიღება სკოლის დეკანის/დეკანის მოადგილის წარდგინებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 3. სასწავლო კურსის სილაბუსი

3.1. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
- სკოლა;
- სწავლების საფეხური;
- სასწავლო კურსის დასახელება (ქართულად და ინგლისურად);
- სასწავლო კურსის კოდი;
- სწავლების ენა;
- სასწავლო კურსის სტატუსი;
- სემესტრი;
- სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები;
- კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – ECTS;
- სასწავლო კურსის განმახორციელებელი/განმახორციელებლები;
- სასწავლო კურსის მიზანი;
- სწავლის შედეგი;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- სწავლება - სწავლის მეთოდები;
- შეფასების სისტემა;
- შეფასების ფორმები და კომპონენტები;
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა;
- დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა;

- კონსულტაცია;
- სასწავლო რესურსი;
- ინფორმაცია სტუდენტებისათვის;
- პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- დანართი, ლექცია/სემინარების შინაარსით.

3.2. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა.

მუხლი 4. სწავლება/სწავლის მეთოდები

4.1. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. სასწავლო კურსის განმახორციელებელს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. არსებობს სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ყველაზე გავრცელებული ვარიანტები, რომელთაგან საჭირო ვარიანტს კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს სასწავლო კურსის განმახორციელებელი.

- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ - ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;
- **პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ეხმარება, თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;
- **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

- **ანალიზის მეთოდი** - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- **სინთეზის მეთოდი** - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ახსნა - განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- **მაგალითების გენერირება** - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ სხვადასხვა მოდელირებული მაგალითის ჩამოყალიბებას;
- **პრაქტიკული სამუშაო** - სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს უყალიბებს;
- **პრეზენტაცია** - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;
- **ვერბალური პრეზენტაცია** - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონსტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;
- **გონებრივი იერიში** - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;
- **რესურსების მოძიება** - ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება ელექტრონული და ბეჭდური საშუალებების გამოყენებით;
- **სააზროვნო შეკითხვები** - წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სასწავლო მეთოდი,** რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;
- **შემთხვევების შესწავლა (Case study)** - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი“

წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **ინდივიდუალური პროექტი** - წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს, სადაც გაითვალისწინება მიღებული ცოდნის შენარჩუნება და მისი აქტიური გამოყენება. იგი არის ერთგვარი გეგმა, რომელშიც ასახულია კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მოდელირებული განხორციელების შესაძლებლობა;
- **ევრისტიკული მეთოდი** - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტასა და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ეკონომიკის საგარეო სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებლების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **სიტუაციური იმიტაცია** - სიტუაციური იმიტაცია წარმოადგენს მეთოდს, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება კონკრეტული საკითხის/თემის წარმოსასახად და შემდგომ გასაანალიზებლად; ამ მეთოდით სტუდენტი სწავლობს დავალების შესრულებას დაკვირვებებსა და მოქმედებებს შორის ასახვის შესწავლით. იმიტაციის საშუალებით სწავლების პარადიგმა პოპულარობას იძენს, რადგან იგი ხელს უწყობს რთული ამოცანების სწავლებას დავალებების მინიმალური ექსპერტული ცოდნის საფუძველზე;
- **ქვიზი** - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება). ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან;
- **როლური თამაშები** - წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ - ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

- **ესე** - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ბიზნესის ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;
- **თარგმანი** - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს, გაუუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;
- **სავარჯიშოები** - აუცილებელი შემადგენელია უცხოური ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;
- **წერითი მუშაობა** - სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალებების წერითი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას;
- **წიგნზე მუშაობა** - სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება;
- **მოსმენა** - უვითარებს სტუდენტს უცხოურ ენაზე ავთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ - ჩვევებს;
- **ბლიც - გამოკითხვა** - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;
- **სასემინარო მოხსენება** - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ - ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს;
- **სოკრატული მეთოდი** - სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა აქტიურად ჩართვას კითხვების პასუხის გზით საკუთარი ცოდნის აგებაში. იგი გულისხმობს იმ კითხვებზე ორიენტირებას, რომელიც მხოლოდ პრობლემურია და არა ინფორმაციული. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიისა და დებატების გზით. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს უვითარებს კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას;

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** - ეს მეთოდი ითვალისწინებს უცხო ენის სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები;
- **აუდიო - ვიზუალური მეთოდი** - ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე;
- **და სხვა**;

4.2. ლექციები ინტერაქციულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე.

მუხლი 5. პრაქტიკის ორგანიზება და განხორციელება

5.1. პრაქტიკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში და აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად ჩატარებას. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა უშუალო ზედამხედველობას.

5.2. პრაქტიკის დროს სტუდენტი ვალდებულია დაიცვას პრაქტიკის ობიექტის შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები, შეასრულოს კონკრეტული სამუშაო და აგრეთვე, აწარმოოს პრაქტიკის დღიური, ხოლო პრაქტიკის დასრულების შემდეგ შეადგინოს პრაქტიკის ანგარიში, რომელსაც სემესტრის ბოლოს დაიცავს საჯაროდ.

5.3. უნივერსიტეტში პრაქტიკის განხორციელება მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- პრაქტიკის დაწყებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი შეხვედრის ორგანიზება;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტების ინფორმირება პრაქტიკის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე;
- პრაქტიკის გავლის ადგილზე სტუდენტთან მენტორის მიერ პრაქტიკის ადგილის გაცნობა;

- მენტორის მიერ სტუდენტის სამუშაო პროცესში ჩართვა, ყოველდღიური ჩანაწერების/პრაქტიკის დღიურის წარმოების შემოწმება და ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე;
- სტუდენტის ყოველდღიური აქტივობის შეფასება;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტისთვის კონსულტაციების ჩატარება, პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტი და სტუდენტის მუშაობის პერიოდული შემოწმება;
- პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;
- პრაქტიკის შეფასება/დაცვა.

5.4. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება, გაფართოება. სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული ჩვევების განვითარება და პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების მიღწევა, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების მიღება.

მუხლი 6. პრაქტიკის ანგარიში

6.1. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები ადგენენ პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვას, პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს, იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე და პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ანგარიშს ერთვის ყველა დოკუმენტი (ასლი), რომელიც ეხება სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აღწერს მათ შინაარსს.

6.2. **პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა** - ასახავს სტუდენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, პრაქტიკის შედეგების მიღწევის გზებს და პასუხს გასცემს შემდეგ კითხვებს: რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდა სტუდენტი, რომელი კომპეტენციები შეიძინა ან/და განავითარა პრაქტიკის პროცესში.

მუხლი 7. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა

7.1. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინაშე და სტუდენტები დაცვაზე დაიშვებიან რექტორის სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და სკოლის დეკანი/დეკანის მოადგილე. სტუდენტი დაცვაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ პრაქტიკის ანგარიშს, მოახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას ზეპირი ფორმით და პასუხს გასცემს დასმულ შეკითხვებს.

7.2. პრაქტიკის დაცვის კომისიის მიერ უნდა შეფასდეს პრაქტიკის ანგარიში დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად ECTS - ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით, რომელსაც წინასწარ უნდა იცნობდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე სტუდენტები.

7.3. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშს. საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

7.4. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. შეფასება ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას.

7.5. პრაქტიკის დაცვის შემდეგ დგება უწყისი, რომელშიც აისახება შუალედური შეფასების კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების ჯამი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

7.6. პრაქტიკის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 8. პრაქტიკის დაცვის კომისია

8.1. პრაქტიკის დაცვა ხორციელდება პრაქტიკის დაცვის კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი;

8.2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მიერ განსაზღვრული კომისიის ერთ - ერთი წევრი;

8.3. პრაქტიკის დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 35 (ოცდათხუთმეტი) პრაქტიკის ანგარიშზე მეტის დაცვა. დღის განმავლობაში დასაშვებია პრაქტიკის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება;

8.4. პრაქტიკის დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც.

მუხლი 9. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

9.1. საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი ხასიათის ნაშრომი, რომელიც უნდა შეასრულოს და დაიცვას სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლო სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომი არის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ერთ - ერთი მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

9.2. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მეთოდები

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესი მიმდინარეობს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად სტუდენტი დაგეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების თანმიმდევრობას და დროს, დამოუკიდებლად მოიძიებს ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ მასალებს და ინფორმაციას, გამოიყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან კონსულტაციების და მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს ნაშრომის სრულყოფილად შესრულების მიზნით. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დროს გამოიყენება წერითი, ვერბალური, საკომუნიკაციო და სხვა მეთოდები ტრანსფერული უნარების განსავითარებლად. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მეთოდები განპირობებულია დასახული მიზნების და შედეგების მიღწევით სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინების გზით.

მუხლი 10. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

10.1. საბაკალავრო ნაშრომის თემას და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი. საბაკალავრო ნაშრომის თემა შეირჩევა სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკიდან.

10.2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში დოქტორის ხარისხი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება შეირჩეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით.

10.3. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე. ამ შემთხვევაში მან გონივრულ ვადაში, წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს სკოლის დეკანს.

10.4. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს გეგმის შედგენაში, რელევანტური ლიტერატურის შერჩევაში, მოძიებასა და დამუშავებაში. საბაკალავრო თემის ხელმძღვანელი ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს მოსაზრებებსა და/ან შენიშვნებს, რითაც დაეხმარება სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულებაში.

ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ნაშრომის დასათაურება;
- სტუდენტის ვინაობა;

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა;
- ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
- ავტორის შრომისუნარიანობისა და სხვა უნარ - თვისებების ხარისხის აღნიშვნა;
- ნაშრომის ზოგად შეფასებას (და არა ნიშნით);
- დასკვნა - რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

მუხლი 11. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

11.1. ძირითადი მოთხოვნები:

- საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის მინიმუმ 35 და მაქსიმუმ 45 გვერდი;
- შრიფტი – "სილფაენი"- (Sylfaen);
- ტექსტის შრიფტის ზომა - 12, თავების სათაურების შრიფტის ზომა 16 და ქვესათაურების - 14;
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5;
- გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.

11.2. საბაკალავრო ნაშრომს თან ერთვის ხელმძღვანელის დასკვნა და პლაგიატის პროგრამის დასკვნა.

11.3. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის კომპონენტებია:

- სატიტულო გვერდი (თავფურცელი)
- შინაარსი (სარჩევი);
- ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია);
- დანართი (ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ხელნაწერები და ა.შ.)

11.4. სატიტულო გვერდი (თავფურცელი)

ნაშრომი იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (საბაკალავრო ნაშრომი); სკოლის ან პროგრამის დასახელება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით:

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული დასახელება - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- სკოლის და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- სტუდენტის სახელი და გვარი - შრიფტის ზომა 14, გამუქებული;
- საბაკალავრო ნაშრომის დასახელება - შრიფტის ზომა 16, გამუქებული;

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

- საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა - შრიფტის ზომა 14 გამუქების გარეშე;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი (სიტყვა „წელის“ გარეშე) - შრიფტის ზომა: 14 გამუქების გარეშე .

11.5. შინაარსი (სარჩევი)

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა აუცილებელი ნაწილი - ანოტაცია, შესავალი, თავისა და ქვეთავის დასახელება, ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა და დანართები გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თავი მინიმუმ ორი ქვეთავისაგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად უნდა ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს.

11.6. ანოტაცია

ანოტაციაში აისახება საბაკალავრო ნაშრომის მოკლე შინაარსი. ანოტაცია სრულდება ორ ენაზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე). ორივე ანოტაციის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს.

11.7. შესავალი

შესავალი წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს:

- თემის აქტუალობა;
- საბაკალავრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები;
- საბაკალავრო ნაშრომის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები;
- საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

11.8. ნაშრომის ძირითადი ნაწილი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად. თავები და ქვეთავები ინომრება თანმიმდევრულად. თავის დასახელება იწერება 16 - იანი ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს 2 - 3 თავს, თითოეული თავი კი 2 - 3 ქვეთავს. შესავალი, ნაშრომის ყოველი ახალი თავი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები შესაბამის ტექსტს უნდა მიებას. საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ნაწილის დანიშნულებაა შესავალ ნაწილში დასმულ საკვლევ საკითხებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე. ნაშრომის ძირითად ნაწილში აღიწერება კვლევის მსვლელობა: რა წყაროები იქნა გაანალიზებული, რისი ინტერპრეტაცია მოხდა, რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ იქნა ისინი შეფასებული. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- წყაროების მოძიება;
- არგუმენტირება;
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
- წყაროების გამოყენება და დამოწმება.

11.9. დასკვნა

დასკვნის დანიშნულებაა ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა აღწერის, კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის შედეგად. დასკვნაში არ ხდება ახალი თემის წამოწევა და მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ იქნა განხილული. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს. დასკვნაში არ იწერება: ის მონაკვეთები, რომლებიც უკვე აღწერილია ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში, თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა, ციტატა და პარაფრაზი, რადგან დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოჩინდეს. დასკვნების აღნიშნული პრინციპით ფორმულირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სიტყვები: გამოვლენილია, აღმოჩენილია, დასაბუთებულია, ნაჩვენებია, მოცემულია, წარმოდგენილია, გახსნილია, შემუშავებულია, შეთავაზებულია, კლასიფიცირებულია, სისტემატიზირებულია ან: შემოგვაქვს, ვასაბუთებთ, ვუჩვენებთ, და სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი უნდა დაიწყოს პირველ (მრავლობით) ან მესამე პირში (და არა შერეულად).

11.10. გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია)

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით.

ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გაფორმების წესი რეგულირდება დოკუმენტით „აკადემიური ნაშრომის შესრულების სახელმძღვანელო“, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული წყაროების მითითების წესი (ჩიკაგოს ან APA სტილის შესაბამისად, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ხელმძღვანელთან შეთანხმებით).

11.11. დანართი

მონაცემები და ფაქტები, რომლებიც ნაშრომის გასაგებადაა საჭირო, ან ავტორის მსჯელობას ამყარებს, შესაძლებელია, დანართში განთავსდეს. მისი საშუალებით მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე. დანართის დართვა იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ აღნიშნული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა. ამგვარი მასალები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: ანკეტა-კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ. თუ ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს, ხოლო დანართის დამოწმება ხდება ტექსტში ჩართული დამოწმების ფორმატით.

მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და დაცვის პროცედურა

12.1. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა

ა. საბაკალავრო ნაშრომის აკინძულ ეგზემპლართან ერთად სტუდენტმა უნდა წარადგინოს ელექტრონული ვერსიაც CD კომპაქტ - დისკით, ნაშრომის ტექსტური მასალის Word - ის ფაილის სახით, ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე;

ბ. საბაკალავრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება;

გ. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული).

12.2. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ეტაპები

ა. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 - ქულიანი სისტემით;

ბ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს;

გ. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება მოიცავს ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს დაცვის კომისიის შეფასებას;

დ. დასრულებული საბაკალავრო ნაშრომი წარედგინება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნის წარმოდგენის მიზნით;

ე. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს და დასკვნასთან ერთად გადასცემს სკოლას;

ვ. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის პროგრამის საშუალებით;

ზ. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი და მისცეს რეკომენდაციები;

თ. სტუდენტი უფლებამოსილია გამოასწოროს ხარვეზები;

ი. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება. შესაბამისად, სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე და ფორმდება უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი საბაკალავრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია თავად დააფინანსოს საბაკალავრო ნაშრომის ხელახალი მომზადება.

12.3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

ა. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10 - 15 წუთი.

ბ. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას, ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს.

გ. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.

დ. დასკვნით სიტყვაში სტუდენტი გამოთქვამს თავის აზრს შენიშვნების ირგვლივ. იმართება დისკუსია, რომელშიც კომისიის წევრების გარდა მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული პირებიც. ამით ნაშრომის დაცვა დასრულებულია.

ე. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

ვ. საბაკალავრო ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით, რომელსაც წინასწარ უნდა იცნობდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე სტუდენტები.

ზ. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

თ. შუალედური შეფასების და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შეფასების ქულები მოცემულია შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის სილაბუსში.

ი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი.

კ. ოქმს თან უნდა ერთოდეს ხელმძღვანელის შეფასებები და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

მუხლი 13. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია

13.1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი;

13.2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორი ან მის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი;

13.3. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის თითოეულ სხდომაზე შესაძლებელია წარსდგეს 25 სტუდენტი; დღის განმავლობაში დასაშვებია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება;

13.4. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;

13.5. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი;

13.6. საბაკალავრო ნაშრომის დაცვას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

13.7. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება ეცნობება სტუდენტს იმავე დღეს.

მუხლი 14. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები

14.1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. შეფასება ექვემდებარება უშუალოდ ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შუალედურ შეფასებასა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასებას კომისიის მიერ. სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კომპონენტის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასების ამ სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

Fx - შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომის კომისიის წინაშე წარდგენის უფლება იმავე სემესტრში, შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

F - შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 15. აპელაცია

15.1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;

15.2. სტუდენტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

15.3. შეფასების გასაჩივრების შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება წარედგინება სკოლის საბჭოს;

15.4. სკოლის საბჭო ქმნის სააპელაციო კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტის პირველად შეფასებაში;

15.5. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები;

15.6. გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე;

15.7. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაში.

მუხლი 16. დაცვის შემდგომი პროცედურები:

16.1. დაცვის შემდგომ უწყისი წარედგინება სკოლის დეკანს;

16.2. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

17.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

17.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

17.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

17.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.